ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

4 (9991) • 28 ianvari • 2013 w.

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

ა ლ ი ო ნ ი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

გურულთა მკაცრი განაჩენი – „დამთავრდეს მიშისტობა საქართველოში“

ნინო ნიკოლაიშვილი

23 იანვარს, საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა ოზურგეთში მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ, საპარლამენტო უმცირესობის წევრის ნაციონალური პარტიიდან სერგო რატიანის გამოსვლის შემდგომ გამოიკვეთა, რომელმაც პარლამენტის ქუთაისში დარჩენის მნიშვნელობაზე დააპირა საუბარი და ნაციონალთა შეთავაზებებს პროგრესი უწოდა: –ჩვენ გთავაზობთ პროგრესს, თქვენ გვთავაზობთ უკან დაბრუნებას.

ასევე ხმაურში მოუწია თავისი მოსაზრებების გამოთქმა საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელს, ნაციონალ ვახტანგ ლემონჯავას, რომელიც გურულთა „გულის აჩუყებას“ ოცნების მხრიდან წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობის დასახელებით შეეცადა. ნაცვლად საკონსტიტუციო ცვლილებების დადებით და უარყოფით მხარეებზე საუბრისა, გურულები ემოციებმა დასძალა. დარბაზში წარმოდგენილმა საზოგადოებამ ძირითადად ერთიანი აზრი დააფიქსირა. სრული უნდობლობა გამოუცხადეს ნაციონალურ მოძრაობას, მკაცრი განაჩენიც გამოუტანეს და მის მესვეურთ „მეგობრული“ რჩევებიც მისცეს:

ნარგიზ ხუხუნაიშვილი–„დამთავრდეს მიშისტობა საქართველოში, ჩვენ ოქტომბერში გავაკეთეთ არჩევანი. მიშას უნდოდა ხალხი დაეჩლუნგენია, რომ უკეთესად ემართა. დაგვანებეთ თავი, ჩვენ მხარს ჩვენს მიერ არჩეულ პარლამენტს დავუჭერთ.

ირინა ბარამიძე: – ნუ ჩაჰყვებით საფლავში მიშას, ის იპოვის თავის გზას, თქვენ იმ ხელისუფლების წარმომადგენლები ხართ, რომლებიც უმიზეზოდ ხოცავდნენ ადამიანებს. ასე უმიზეზოდ, წამებით მოკალით ციხეში თვენახევრის განმავლობაში ჩემი ძმა.

ომარ ბაკურაძე: –ვერ მოვითმენთ თქვენ ისაუბროთ ქვეყნის წინსვლაზე, ერთხელ მოგვეცა შესაძლებლობა, რომ კონსტიტუცია საქართველოში ისე არ მოირგონ ტანზე, როგორც ჩოხა.

ტიტე ბაქანიძე: – ქუთაისში ცვლილებებს პარლამენტი კი არა, ეკონომიკის განვითარება გამოიწვევს. მოგმართავთ უმრავლესობას, თქვენგან სხვა ცვლილებებს ველოდებით. შეიცვალოს გუბერნატორი და მიშას დარჩენილი კადრები, რომლებიც ხელს უშლიან ქვეყნის განვითარებას.

ილია მამალაძე: – მიმაჩნია, ის თანხა, რომელიც პარლამენტისთვის დაიხარჯა და დეპუტატთა ხარჯებისთვისაა საჭირო, ქუთაისს უფრო წაადგება.

რეზო გიორგაძე: – 10 წელია სტანჯავდა ხალხს ნაციონალების მთავრობა. დღესაც ამწარებენ ადამიანებს. ნაციონალმა მაკა ჭყონიამ სამსახურიდან გაათავისუფლა სამი შვილის დედა იმიტომ, რომ ჩემი ოჯახი „ქართულ ოცნებას“ ემსახურებოდა.

ამირან ბაქანიძე: – პატრიოტიზმზე პატრიოტებმა უნდა ისაუბრონ და არა ციხიკოსებმა.

დავით ნიკოლაიშვილი: – მითხარით რა გაკეთა მიშას მთავრობამ მთელი 9 წლის განმავლობაში ფასადების შეღებვის გარდა. რა გააკეთა იმისთვის, რომ დაინგრა შპს ასკანა.

გურულთა ემოციური ფონის გამო „მოიბოდიშა“ საკრებულოს დეპუტატმა **ლელა ნაცვალაძემ**, კიდევ ერთხელ შეახსენა ნაციონალებს განვლილი წლები, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა და ეს ხმაურიანი შეხვედრაც ნაციონალთა მიერ დატოვებულ მძიმე მემკვიდრეობად დაასახელა.

„პარლამენტის ხელშეუხებლობის გარანტიები უნდა შენარჩუნდეს“

გაზეთი „ალიონი“

ოზურგეთის ახალგაზრდა ჰედაგოგთა კავშირის დარბაზში საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის და უმცირესობის წარმომადგენლებთან, მასპინძელთაგან ერთადერთი კვალიფიციური კომენტარი საკონსტიტუციო ცვლილებებზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის იურისტმა ქეთი თოლიძემ გაკეთა. გთავაზობთ ამ თემაზე გაზეთ „ალიონისთვის“გაკეთებულ მის კომენტარს:

–ზოგადად, ქვეყნის უზენაეს კანონში, კონსტიტუციაში, ცვლილებების შეტანა იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ვფიქრობ, სავსებით ადეკვატური იყო პარლამენტის გადაწყვეტილება, აღნიშნული საკითხი საყოველთაო-სახალხო განხილვის საგნად გაეხადა. ძალიან მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საზოგადოებამ აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამგვარი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საკუთარი აზრის დაფიქსირების, გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის დასაბუთებული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების მიწოდების გზით. თუმცა, ოზურგეთში გამართულმა შეხვედრამ მეტად ემოციურ ფონზე ჩაიარა. ფაქტობრივად შეხვედრის მონაწილეები საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების დაფიქსირებით უფრო იყვნენ დაკავებულნი, ვიდრე შემოთავაზებული კანონპროექტის დადებით თუ უარყოფით მხარეებზე მსჯელობით.

რაც შეეხება ჩვენს მოსაზრებას კონსტიტუციური კანონის პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, როგორც ცვლილების მოტივაციასთან მიმართებით, ასევე მისი არსისა და საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით გააჩნია არსებითი შენიშვნები.

კონსტიტუციის დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით, არსებობს კრიზისის გამოწვევის მაღალი ალბათობა. პრეზიდენტს უფლება აქვს გაათავისუფლოს პარლამენტის მიერ ნდობა გამოცხადებული მთავრობა და წარადგინოს ახალი. თუ პარლამენტი ზედიზედ სამჯერ არ დაამტკიცებს შემოთავაზებულ მთავრ-

გვ-2

„პოლიტიკური კრიზისი შესაძლოა დესტაბილიზაციაში გადაიზარდოს“

გაზეთი „ალიონი“

–თუკი საკონსტიტუციო ცვლილებებს არ მივიღებთ და პრეზიდენტი მისეულ საკონსტიტუციო ცვლილებებს აამოქმედებს, შესაძლოა პოლიტიკური კრიზისი მივიღოთ. პოლიტიკური კრიზისი შესაძლოა გადაიზარდოს დესტაბილიზაციაში. ჩვენი მიზანია, მოვხსნათ რისკის ფაქტორი,–განაცხადა კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების განხილვაზე პარლამენტარმა ვახტანგ ხმალაძემ.

ხოლო შეხვედრის შემდეგ მან ჟურნალისტებთან თქვა: –აზრთა სხვადასხვაობა ბუნებრივი პროცესია. აზრთა სხვადასხვაობით ხდება კონკრეტული საკითხის დასაბუთება. ზოგჯერ კენჭისყრისას ჩანს, რომ კოალიციის ყველა წევრიც კი ერთნაირად არ უსმენს საკითხს. ეს ბუნებრივი პროცესია. ჩვენ ყველა ერთნაირი ხომ არ ვართ. ღმერთმა დაგვიფაროს, ერთნაირი ვიყოთ.

7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა +8+17	წვიმა +7+14	ძლიერი წვიმა +5+11	წვიმა +5+10	ღრუბელი +4+9	მზე +6+14	ღრუბელი +5+12
28 იანვარი ორშაბათი	29 იანვარი სამშაბათი	30 იანვარი ოთხშაბათი	31 იანვარი ხუთშაბათი	1 თებერვალი პარასკევი	2 თებერვალი შაბათი	3 თებერვალი კვირა

„ახლა კაბინეტების რემონტების დრო არ არის, ამის ფუფუნება არ გვაქვს“

გაზეთი „ალიონი“

ამის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა კოტე შარაშენიძემ ოზურგეთის მუნუციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განაცხადა.

საქმე ის არის, რომ საკრებულოში 2012 წლის არჩევნების შემდეგ დამდგარი ახალი რეალობის გათვალისწინებით საკრებულოში ახალი ფრაქციები შეიქმნა. რამაც დამატებით ათეულობით ათასი ფინანსური რესურსის გამოყოფა მოითხოვა. ამასთანავე ახალ ფრაქციებს დამატებითი სამუშაო ფართი სჭირდება.

— ახლა კაბინეტების რემონტების დრო არ არის, ამის ფუფუნება არ გვაქვს, უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ არსებული ფართები. ჩვენ ხელფასზე არ ვლაპარაკობთ, სჯობს ეს თანხები უფრო აუცილებელ საჭიროებებზე მივმართოთ. — თქვა მან.

„გურიის რეგიონალური განვითარების სააგენტო“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა არ უნდა დააფინანსოს“

ეს თემაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა კოტე შარაშენიძემ წამოწია.

—რატომ უნდა აფინანსებდეს ოზურგეთის ბიუჯეტი მამუკა დოლიძის ორგანიზაციას, რატომ უნდა ურიცხავდეს ყოველწლიურდა 15 ათას ლარს, რომლის საქმიანობაც უცნობია საზოგადოებისათვის, თორმე რაღაც გრანტებიც მიუღია..

—ჩვენ ვიცით, ამ სააგენტოს მუშაობაში ახალგაზრდები ჰყავს ჩართული და მნიშვნელოვან საქმიანობასაც ეწევა—სააგენტოს დაცვა დააპირა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილმა.

—ყველამ კარგად ვიცით, რა საქმიანობას ეწეოდა ეს ორგანიზაცია, დავანებოთ თავი წარსულს და მომავალზე ვიფიქროთ— თქვა შარაშენიძემ.

ინფორმაციისათვის: „გურიის რეგიონალური განვითარების სააგენტოს“ რამდენიმე დამფუძნებელი ჰყავს: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იმჟამინდელი გამგებელი და ამჟამინდელი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი გია გოგუაძე; ჩოხატაურის იმჟამინდელი გამგებელი მამუკა დოლიძე; შპს „კოლხიდას“ ხელმძღვანელი ხათუნა ლაგაზიძე; ყოფილი პარლამენტარი გოჩა შანიძე; გურიის საშხარეო ადმინისტრაციის ერთ-ერთი სამსახურის უფროსი ლიკა ღლონტი.

სააგენტო საჯარო რეესტრში 2010 წლის 1 მარტს არის რეგისტრირებული სწორედ ავთანდილ მექვაბიშვილის განცხადების საფუძველზე. საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი რა საქმიანობას ეწეოდა ეს ორგანიზაცია. ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, სააგენტოს საარჩევნოდ (2010-2012 წ.წ.) რამდენიმე გრანტი აქვს მიღებული, მათ შორის 2012 წელს 25 ათას ლარიანი გრანტი ცესკოს საგრანტო კონკურსში აქვთ მოგებული.

თუ კვლავ მისცემს საკრებულოები გრანტიდან გრანტამდე საარსებო ფულს მამუკა დოლიძის ორგანიზაციას ეს საკრებულოების დეპუტატებზეა დამოკიდებული.

„რაც დღეს ხდება, ეს არის ნაციონალების წისქვილზე წყალის დასხმა“

ნუგზარ ასათიანი

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში სამოქალაქო საზოგადოება „ერთსულოვნების“ ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელმა, ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა. თემა მედიასაშუალებების მიერ უკვე გაშუქებულ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინციდენტს და საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მიერ დავით დარჩიას გარშემო გაკეთებულ განცხადებას შეეხებოდა.

—მომხდარი ინციდენტის შესახებ სამართალდამცავებმა საკმაოდ ობიექტურად დაიწყეს გამოძიება. დაიკითხა რამდენიმე მოწმე, მათ შორის მეც. დაიდო ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები. დაზარალებული ამბობდა, არაფერი არ მომხდარა, კოტე შარაშენიძეც უარყოფდა, მაგრამ მაჟორიტარმა დეპუტატმა თქვა, რომ რაღაც ინცინდენტი მოხდა.

შემდეგ რა მოხდა, არანაირი რეაგირება, არანაირი პოლიტიკური შეფასება არ მომხდარა. მე საკრებულოს თავმჯდომარეს ოფიციალურად პასუხს მოვთხოვ ამის შესახებ რეაგირება გააკეთა თუ არა.

ამის შემდეგ ხდება ცნობილი, რომ გურიის პოლიციის სამმართველოს უფროსი ტოვებს თანამდებობას. მიუხედავად იმისა, რომ მე „ქართული ოცნების“ მომხრე და მხარდამჭერი ვარ, ჩემთვის რაღაცაები არის გაურკვეველი. მე მოვისმინე ბატონ ბიძინა ივანიშვილის განცხადება. მან მისი თანაგუნდელი დავით დარჩია, მოიხსენია, როგორც „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რაც არასწორია და ბატონი ბიძინა შეცდომაშია შეყვანილი.

ის, რომ პოლიტიკური პარტიები არჩევნებისთვის ემზადებიან და ერთმანეთს „ართმევენ“ კანდიდატურებს, ეს არახალია და ცხადი ხდება, რომ მიდის პოლიტიკური ჭიდილი. მაგრამ როცა „ქართული ოცნების“ სავარაუდო კანდიდატი ოზურგეთში, მისი თანაკურსელი ჩადის, თუ მიაწოდა ინფორმაცია ოზურგეთში მომხდარი ინციდენტის შესახებ? მე წარმოვადგენ საზოგადოებრივ აზრს და ვამბობ, რატომ იმალება ინფორმაციები ოზურგეთში. მინდა მივმართო ბიძინა ივანიშვილს:—სანამ მიხეილ საკაშვილი ითვლება ქვეყნის პრეზიდენტად, ხელისუფლება არ აქვს გადაბარებული „ქართულ ოცნებას.“ მინდა პირადად მან შეისწავლოს ოზურგეთის მდგომარეობა, რათა ადამიანებს იმედები არ გაუცრუვდეს. სამოქალაქო საზოგადოება უნდა გააქტიურდეს.

ეს არის დადგმული სპექტაკლი, რაც ჩაიტანეს პრემიერ-მინისტრის ყურამდე, იმისათვის, რომ ეს ფაქტები მიჩქმალულიყო. შუა გზაზე აჩერებენ გამოძიებას და პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებენ პოლიციის უფროსს. თუ ზაზა პეტრიაშვილმა იცოდა, რომ დავით დარჩია იყო ბიძინა ივანიშვილის ახლობელი, იგი მას არ შესთავაზებდა იმას, როგორც გაცხადდა. ეს არის შეთხზული ზღაპრები. ვიცი ამას არ დაიჯერებს ბატონი ბიძინა ივანიშვილი.

გახმაურდა, თითქოს ალასანია იბირებს პარტიაში ადამიანებს. როგორ, ამას სხვა პოლიტიკური პარტიები არ აკეთებენ?

რაც დღეს ხდება, ეს არის ნაციონალების წისქვილზე წყალის დასხმა — თქვა ნაცვალაძემ.

პრესკონფერენციის ბოლოს ლელა ნაცვალაძემ კითხვაზე, აქვს თუ არა ინფორმაცია ზაზა პეტრიაშვილის პოლიციის უფროსობიდან გათავისუფლების შესახებ, არ დაადასტურა.

მისი თქმით, იგი ამ თემაზე სასაუბროდ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას გეგმავს.

პრეზიდენტის დასაცავად ციალა ჯინჭარაძე ჩოხატაურიდან ჩამოიყვანეს

გაზეთი „ალიონი“

დღეს, ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის დარბაზში ხმაურით მიმდინარეობდა საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად გამართული განხილვა.

მაშ შემდეგ, რაც უმცირესობის საპარლამენტო წარმომადგენელი სერგო რატიანი საპარლამენტო დედაქალაქად ქუთაისის მიზანშეწონილების მოტივაციაზე საუბრობდა და მას „დასავლეთ საქართველოს განვითარების პროექტი“ უწოდა, მის გამოსვლას დარბაზის უმეტესი ნაწილის მწვავე რეაქცია მოჰყვა. დაწყნარებული დარბაზის მეორე რეაქცია რატიანის მეორე განცხადებას მოჰყვა - „თუ აზრს მაწყვეტინებენ, ეს ნიშნავს, რომ ჩემი აზრი არის მართალი“ ამ განცხადების შემდეგ დარბაზის დაწყნარება არ ხერხდებოდა. სიტყვებში გამოსულები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ უმცირესობის წარმომადგენლის გამოსვლის გამო და კოალიცია „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო ცვლილებებს უჭერდნენ მხარს.

შეხვედრაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. დაბლაციხიდან ქალბატონი ციალა ჯინჭარაძე გამოვიდა. მან 1956 წლის 9 მარტის ამბები გაიხსენა და განაცხადა:—მიშა საკაშვილმა „კანონიერი“ ქურდები რომ გარეკა საქართველოდან, ამაზე რატომ არ ლაპარაკობთო...

ქალბატონმა ციალამ გაზეთ „ალიონთანაც“ ისაუბრა:

—დაბლაციხე პირველი სოფელია სურების გზაზე. რამდენიმე ათეული წელი აჭარაში ვცხოვრობდი და იქედან ვიცოდი ბიძინა ივანიშვილი ბიზნესმენი იყო. მინდოდა მეთქვა ყველა სოფელი არის მისახედიმეთქი.

—მაგრამ თქვენ მხოლოდ პრეზიდენტის შესახებ გამოთქვით აზრი. არაფერი გითქვამთ საკონსტიტუციო ცვლილებებზე..

—მართალი გითხრათ, ეს შეხვედრა მაინტერესებდა. ექვთიმე თაყაიშვილის ხსენების (16 იანვარი) დღეს ჩამოვედი ოზურგეთში. რკინიგზის სადგურისკენ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში (ახალგაზრდა ნაციონალების ოფისში) მივედი და ჩემი ტელეფონი დავუტოვე.

—შვილო, მე ვარ თქვენს გვერდით. როცა მნიშვნელოვანი შეხვედრა იქნება ოზურგეთში, შემატყობინეთ და ჩამოვალმეთქი. შემატყობინეს და ჩამოვედი. ვთქვი, მიშა რომ ქურდებს დაერია, რატომ არაფერს არ ამბობთ-მეთქი. როგორი გამომივიდა, თქვენ შეაფასეთ.

ქალბატონი ციალა დარბაზში ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც პრეზიდენტის მხარდაჭერას ხმამაღლა აფიქსირებდა. ის მთელი შეხვედრის განმავლობაში აქტიურად იცავდა თავის პოზიციას, რამაც შეკრებილი საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია და მას შემოგდებული პროვოკატორი უწოდეს

„პარლამენტის ხელშეუხებლობის გარანტიები უნდა შენარჩუნდეს“

ობას, პრეზიდენტს შეუძლია თავად დანიშნოს იგი, ეს კი გამოიწვევს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების დაპირისპირებას, რაც პოლიტიკურ კრიზისში გადაიზრდება. ცვლილებები სწორედ ამ კრიზისის თავიდან აცილებით არის მოტივირებული. ცვლილებების არსის მიხედვით, უქმდება პრეზიდენტის უფლებამოსილება, აღნიშნული დროის განმავლობაში საკანონმდებლო ორგანოს მიერ მთავრობის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში დანიშნოს მთავრობა. მაგრამ ამავდროულად უქმდება აკრძალვა, რომლითაც დაუშვებელი იყო პარლამენტის დათხოვნა მისი არჩევნებიდან პირველი 6 თვის განმავლობაში და პრეზიდენტის ვადის ბოლო 6 თვის დროს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საია მიიჩნევს, რომ მართალია შემოთავაზებული ცვლილებები ნაკარნახევია პოლიტიკური კრიზისის თავიდან აცილების მოტივაციით, მაგრამ იგი თავადვე შეიცავს მსგავსი კრიზისის გამოწვევის ალბათობას. მართალია პრეზიდენტის როლის შემცირება უპრიანია, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს საპარლამენტო გარანტიების შემცირების ხარჯზე, პარლამენტის ხელშეუხებლობის გარანტიები უნდა შენარჩუნდეს.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის უზენაესი ნორმატიული აქტი, არ უნდა იცვლებოდეს კონკრეტულ გარემოებებზე, პირებზე თუ პოლიტიკურ სიტუაციაზე მოსარგებად. სასურველია უფრო სისტემური მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი.

რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებას პარლამენტის ადგილმდებარეობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, აუცილებელია განიმარტოს, რომ ცვლილებით შემოთავაზებული არ არის, თუ სად იქნება პარლამენტის ადგილსამყოფელი. აღნიშნული ცვლილებით კონსტიტუციაში უქმდება პარლამენტის ადგილსამყოფელის განმსაზღვრელი ნორმა. საიას პოზიცია აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით დადებითია. ვთვლით, რომ ამ საკითხს უნდა არეგულირებდეს არა კონსტიტუცია, არამედ სხვა სახის ნორმატიული აქტი.

ქალთა კლუბში სოციალურ პროექტებზე ისაუბრეს

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში მორიგი შეხვედრა გაიმართა კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმის“ ოზურგეთის ქალთა კლუბის წევრებისა. შეხვედრაზე პროექტის ასისტენტმა მანანა ღუმკაშელმა დასვა კითხვა, მოქალაქეები რამდენი იცნობდნენ ოზურგეთის ბიუჯეტს და რამდენადაა მათთვის ცნობილი— რა თანხებია მიმართული სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად. კლუბის წევთა გარკვეული ნაწილისთვის ეს საკითხი უცნობი არ აღმოჩნდა, მაგრამ, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობაში მოსახლეობის მეტ ჩართულობაზე საუბრობენ და მოთხოვნაც ამ მიმართებით თანდათან იზრდება, უკეთესი იქნებოდა, თუკი კლუბის წევრები მეტად დაინტერესდებიან ამ საკითხებით და შესაბამისადაც მეტ აქტიურობას გამოიჩენენ ამ მიმართებით — აღინიშნა შეხვედრაზე.

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე რაიმე პრობლემის ლობირებას, კლუბის წევრთა მიერ, აქ ასეთი მოსაზრება დაფიქსირდა — ჯერ-ჯერობით ადგილობრივი ხელისუფლება თავად არის ფორმირების პროცესებში და მათთან რაიმე პრობლე\მის მოგვარებაზე საუბარი უშედეგო იქნება.

“ასეთი შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ უკუპროცესები?“

ნუგზარ ასათიანი

22 იანვარს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში კოალიცია ,,ქართული ოცნების“ერთ-ერთმა ლიდერმა **შოთა გოგიბერიძემ** შეხვედრა გამართა ჟურნალისტებთან საზოგადოების მონაწილეობით.

–ვკანსაღი სამოქალაქო საზოგადოებისათვის ქვეყანაში და რეგიონში მიმდინარე პროცესების მიმართ ვკანსაღი, მოტივირებული, კრიტიკული ხედვა უნდა იყოს დამახასიათებელი. გურიის სამოქალაქო საზოგადოება მაგალითი უნდა იყოს მთელი ქვეყნისთვის. ეს შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების და გარკვეული სოციალური სეგმენტის მიერაა ინიცირებული. მე ჩავთვალე თავი ვალდებულად გამეჟღერებინა ამ ხალხის პრობლემები და მედიის წარმომადგენლებიც მოვიწვიეთ,– განაცხადა შოთა გოგიბერიძემ.

გოგიბერიძემ კვლავ გააჟღერა საჭიდაო კლუბ ,,ფალავანში“გამართული შეხვედრის შესახებ. ამ შეხვედრაზე გახდა ცნობილი, რომ სპორტის სამსახურის მესვეურებს სამსახურიდან გაუთავისუფლებიათ ,,ქართული ოცნების“აქტივისტები, ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი, ბავშვთა ფეხბურთის მწვრთნელი **იური ჩხაიძე;** ცნობილი მძლეოსანი და მწვრთნელი **ლადო ვიორგაძე.** ესეც არ აკმარეს მას და სკოლამდელი სბავშვო დაწესებულებების სისტემიდან გაათავისუფლეს მისი მეუღლეც (?!). მთა სამი მცირეწლოვანი შვილი ჰყავთ; შემდეგ ასევე გახდა ცნობილი,რომ სამსახურიდან გაათავისუფლეს შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ნიჭიერი ლოგოპედი **თამარ დუმბაძე;** კულტურის სფეროდან გაათავისუფლეს ასევე კარგი სპეციალისტი, ჟურნალისტი **ოლიკო კობალავა.** ისი თქმით, ყველა დასახელებულ შემთხვევაში პოლიტიკური მოტივაციაა გათავისუფლების მიზეზი.

–რატომ ხდება ,,ქართული ოცნების“ასეთი შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ უკუპროცესები? რატომ აძლევენ თავიანთ თავს ამის უფლებას ,,ნაციონალური მოძრაობის“ ,,უკანასკნელი მოჰიკანები“, რომელთა ხელშია აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი რგოლები, (,,ქართული ოცნებიდან“ მხოლოდ მუნიციპალიტეტის გამგებელი და მისი ერთი მოადგილეა დანიშნული). ჩვენი ლოიალური დამოკიდებულებით ისარგებლეს იმ ადამიანებმა,რომლებიც თავის დროზე არჩევნების გაყალბების გზით მოვიდნენ ხელისუფლებაში. ძნელად შესაგუებელი რეალობაა,მაგრამ ჩვენ გაგვაჩნია სერიოზული პოლიტიკური და ზნეობრივი ბერკეტები იმისათვის, რომ ამ ადამიანებს ვუთხრათ: –პრეზიდენტმა აღიარა 1 ოქტომბრის არჩევნებში დამარცხება. ,,ნაციონალური მოძრაობა“ დამარცხდა საერთოსახალხო არჩევნებში.

,,ქართული ოცნების“აქტივისტმა მურთაზ აბაშიძემ საყვედური გამოთქვა საკარდო საკითხებში ,,ქართული ოცნების“პასიურობის გამო.

–ჩვენ ამიტომ ვამბობთ უკუპროცესებს–თქვა გოგიბერიძემ. საკადრო და ორგანიზაციულ დონეზე არაფერი არ იცვლება და პირიქით, მიმდინარეობს დევნა და ზეწოლა ,,ქართული ოცნების“აქტივისტებზე. ჩვენ ვერ შევეგუებით ამ ადამიანების სამსახურებიდან განთესვის საკითხს. ჩვენ არ დავუშვებთ ფერშეცვლილი ,,ნაციონალური მოძრაობის“ადგილობრივი ლიდერების მიერ რაიონში და რეგიონში პროცესების წარმართვას. არ გამოვა ასე ოზურგეთის მართვა. ,,პავლე სავლედ ვერ გადაიქცევა.“ ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია საკრებულოს წევრების მიმართ, ოღონდ იმაზე მეტად არ უნდა ჩაერიონ მართვაში, რასაც მათ მათი ფუნქცია აკისრებს. მაგრამ აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურები,აპპიები ,,ნაციონალური მოძრაობის“აქტივისტებითაა დაკომპლექტებული. ეს ხალხი უნდა ჩამოშორდეს ხელისუფლებას. მსგავსი შეხედულებებისაა ბატონი ტიფო მიქატაძე. იგი ოფიციალური წერილს სწერს მაჟორიტარ დეპუტატს, ყველა კოალიციის წევრს, რომ პროცესები რაიონში მიდის ცუდი მიმართულებით, რომ მოვიყაროთ ერთად თავი და პრობლემა ერთობლივი ძალისხმევით გადავწყვიტოთ.

შოთა გოგიბერიძე შეკრებილთ ,,ქართული ოცნების“ფორმირების პროცეზე და მომავალში ,,ეროვნული ფორუმის“ ,,ოცნებასთან“ ოფიციალურად შეერთების პროცესზე ესაუბრა.

საქართველოს პრეზიდენტი სარგებლობს ყველა ბერკეტით ,,ნაციონალური მოძრაობის“რეანიმაციის ილუზიის შესაქმნელად. ამისთვის მას შერჩა სამხარეო ადმინისტრაციები და თავის დროზე ვითომ ლეგიტიმურად არჩეული საკრებულოები. თუკი რაიმე საპროტესტო აქცია ჩატარდა, ისინი აკრიტიკებენ ,,ქართულ ოცნებას.“როცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის პროცესი ხდებოდა, ყველა დეპუტატი გუბერნატორთან გადიოდა კონსულტაციას.

მიმაჩნია, რადგან ამ ადამიანებს არ ეყოთ ზნეობრივი სიმაღლე, შეგნება, ახლა მაინც, ქართველი ხალხის მიერ გამოხატული ნების შემდეგ, როგორც დამარცხებული ძალა გადადგნენ თანამდებობიდან. მათ ქართველი ხალხის ჯიბიდან ამოღებული ფულით არ ისარგებლონ განაცხადა – შოთა გოგიბერიძემ.

როდის დასრულდება ექადიელთა ბრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად?

ნუგზარ ასათიანი

შარშან გაზეთ ,,ალიონში“(10 იანვარი, №3) კრიტიკული წერილი დაიბეჭდა სათაურით **,,ექადიელებს სახნავ-სათესი ფართობები ასხენ,**“რომელიც ქ. ოზურგეთში,ექადის უბანში 22 ოჯახისათვის 3,78 ჰექტარი მიწის ნაკვეთის წართმევის ფაქტს ეხებოდა. ამ თემაზე შარშანვე, გაზეთ ,,გურია ნიუსის“4 ივნისის ნომერში ახალი დოკუმენტებით გაძლიერებული ვრცელი სტატია დაიბეჭდა. მოსახლეობის ერთსულოვნებამ და ბრძოლამ ის შედეგი გამოიღო,რომ ეკონომიკის სამინისტრომ ,,შემსყიდველებიდან“მიწა დაიბრუნა და შარშან ექადიელებმა კვლავ დათესეს ზემოთდასახელებული ფართობის თითოეული გოჯი. კოალიცია ,,ქართული ოცნების“გამარჯვების შემდეგ გაჩნდა პერსექტივა, ექადიელები მთა მფლობელობაში 40-50 წლის განმავლობაში მყოფ მიწის ნაკვეთებს საბოლოოდ გაიფორმებდნენ.

მკითხველს შევახსენებთ ექადიელთა ბრძოლის ისტორიას:

1992 წელს, როდესაც მიწების პრივატიზების პროცესი მიმდინარეობდა, იმჟამინდელმა საქალაქო საბჭოს თავკაცებმა ურჩიეს ექადიის საპრივატიზაციო კომისიას, რომ ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის მიმდებარე მიწის ნაკვეთები, რომლებიც ათეული წლები ფლობდნენ ექადიელები და ამუშავებდნენ, ოფიციალურად არ გაეცათ მოსახლეობისთვის იმ მოტივით, რომ მომავალში შესაძლოა ქალაქის განაშენიანების წითელ ზოლში მოხვედრილიყო. ასე დარჩა 22 ოჯახი შესაბამისი სბუთის გარეშე. ამ 22 ოჯახიდან უმეტესობა სოციალურად შეჭირვებული იყო და სხვა სახნავ-სათესი არ გააჩნდათ.

2008 წლის გაზაფხულზე ექადიელებმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებულ ლეგალიზაციის კომისიას მიმართეს. კომისიამ ადგილზე შეხვდა მიწის მფლობელებს, ჩამოუწერა სბუთების ჩამონათვალი და უთხრა, რომ მათ ლეგალიზაციის კანონით შეეძლოთ მიწების საკუთრებაში გადაცემა. კომისიამ სთხოვა ექადიელებს 0,2 ჰა მიწის ნაკვეთი გადაეცათ ერთ-ერთი მეზობლისათვის.(ადრე მისი ბაბუა აქ ფლობდა მიწის ნაკვეთს) ამ თემაზე მიწის მფლობელებს შორის აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა...

2008 წლის 15 აპრილს შედგა ახალი ამხანაგობა –,,ექადია-2.“ შესაბამისი ელექტრონული ნახაზების შესადგენად ექადიელებმა შპს ,,ულტრა იეს“-ს 2008 წლის 19 მაისს ,,სახალხო ბანკის“ოზურგეთის ფილიალში 1190 ლარი ჩაურიცხეს. ,,ულტრა იეს“-მა დაიწყო აზომვითი ნახაზების და საკადასტრო რუკის ელექტრონული ვერსიის მომზადება, პარალელურად მიწის მფლობელებმა ნოტარიულად, მოწმეების საფუძველზე დაადასტურეს, რომ კონკრეტული ფართობებს ისინი ფლობდნენ ათეული წლების მანძილზე.

ფიზიკური და კერძო იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებების გამცემი კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს წევრი ვალია გირკელიძე და ქონების მართვის სამსახურის სამსახურის სპეციალისტები, მიწის აზომლები რამდენჯერმე იყვნენ საყანე ფართობებში. მათი თხოვნა ერთ-ერთი მოქალაქისათვის ზემოთდასახელებული რაოდენობის მიწის ფართობის გადაცემაც იყო. მიწის მფლობელთა ერთი ნაწილი უარს ამბობდა მიწის გადაცემაზე, რამაც ეს თემა ცოტათი შეაჩერა.

როგორც 2008, ისე 2010 წლების არჩევნებისას ,,ნაცმოძრაობის“ ასარჩევი კანდიდატები მოსახლეობს მხარდაჭერას უცხადებდნენ, მაგრამ როგორც ხშირად ხდება დაპირება დაპირებად დარჩა.

შემდეგ ოზურგეთის ლეგალიზაციის კომისიის მუშაობით პროკურატურა დაინტერესდა (მსგავსი საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებშიც მოხდა) და კომისიას მუშაობა შეაჩერებინეს. შეჩერდა ექადიელთა საკითხიც. შემდეგ წლებში ლეგალიზაციის კანონში ცვლილებები შევიდა, თუმცა ის გამოიწვია, რომ ამ მიწების ლეგალიზების თემა თაროზე შემოდეს. ექადიელები ხნავდნენ და თესავდნენ მათ მფლობელობაში მყოფ მიწის ფართობებს.

გივა თარგამაძის ,,ბლექსი გრუპი“რომ შემოვიდა ექადიაზე და მძლავრი ასფალტის ქარხანა აამუშავეს, ექადიელებმა თქვეს:–ამათ აუცილებლად მოჰყვება ვინმე და ჩვენს მიწებს დაადგამს თვალსო.

მიწის მეპატრონეები არ შემცდარან. ერთ დღეს გავრცელდა ინფორმაცია –ექადიელების მიწებს ახალი პატრონი ჰყავსო.

<u>2012 წლის 18 იანვარს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა საგენტომ პროკურორ შალვა საღირაშვილს აღნიშნული მიწის ნაკვეთი დაურეგისტრირა.</u> მას ერთ თვეში უნდა დაეფარა აუქციონით გათვალისწინებული 11090 ლარი. ბატონ შალვას ნატანებშიც (შავიზღვისპირეთში) ჰქონდა დარეგისტრირებული 3000,00 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი და ა.შ.

როგორც შემდგომ გაზეთმა ,,ალიონმა“მოიკვლია, ექადიელთა მიწებზე საკადასტრო ნახაზები საქართველოს მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის აციციაციის ქუთაისის რეგიონული ასოციაციის ოფისის (დირექტორი შალვა კაპანაძე) ოზურგეთის წარმომადგენლებმა იმ დროს შესრულეს, როდესაც ფართობი დათესილი იყო. ამ ორგანიზაციას საქართველოს შსს ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი ლობირებდა... მიწის მესაკუთრეთა ვითომ უფლებების დამცველი ასოციაცია სხვა საქმით იყო დაკავებული და თავისი წვლილი შეიტანა ანიკო ციცხლაძის, ლევან მუჯირის, კუკურა თაგდუმაძის, ლევან ვასაძის და სოციალურად შეჭირვებული სხვა ოჯახების მიწების ,,ახევაში.“მსგავსი ,,სცენარით“ დაკარგეს ექადიელებმა ჰექტრობით მიწის ფართობები ლეკიანში, ნატანებში და სხვა ადგილებში.

რაღა დარჩენოდათ ექადიელებს და განცხადებით საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ საკაშვილს მიმართეს.

იტყვიან ,,ციხე შიგნიდან ტყდებაო“და ექადიელთა განცხადებას გარკვეული პროცესები – ამ მიწების თემის ,,ლუსტრაცია“ მოჰყვა. ნაციონალური მთავრობა რთული არჩევნებისთვის ემზადებოდა და როგორც ჩანს არ აწყობდათ 22 ოჯახის (დაახლოებით 80-მდე ამომრჩევლის) დაკარგვა. ბატონ შალვას საკადასტრო რუკაზე თუ ენახა ექადიელთა სახნავი და გარიგების მონაწილეებზე გადაფორმა მიწის ფართობები. <u>2012 წლის 12 მარტს ქ. ოზურგეთში გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება,რომლის ძალითაც ბატონმა პროკურორმა მიწის ნაწილი გაასხვისა მოქალაქეებზე აკაკი საღირაშვილზე, ალექსანდრე ტოტოჩავასა და კახაბერ თავბერიძეზე.</u>

<u>რამდენიმე დღეში კვლავ მორიგი ,,ნასყიდობის“ ხელშეკრულებები გაფორმდა. 2012 წლის 20 მარტს ნასყიდობის ხელშეკრულება ა. ტოტოჩავამ, ა. საღირაშვილმა და კ. თავბერიძემ, ისევ ,,მიჰყიდეს“უკან შალვა საღირაშვილს ეს ფართობი და იმავე ფასად...(?!)</u>

2012 წლის 2 აპრილს მიწის ეს ფართობი სახელმწიფოს დაუბრუნდა. <u>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის დავით გიორგაძის მიერ 2012 წლის 26 მარტს გამოიცა ბრძანება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ლიხაურში (ასეა ეს ტერიტორია მითითებული) მდებარე 36. 801 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან დაკავშირებული ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 1 დეკემბრის №1/ 2528 ბრძანება.</u>

ჩამორთმეული მიწის ერთ-ერთი ,,მეპატრონე“და ამ ჩახლართული საქმის ,,გამჩალიჩებელი“ახლდათ გურიის სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის უფროსი, გურიის ვიცეგუბერნატორის სიძე და იმჟამინდელი გამგებლის დეიდაშვილი კახა თავბერიძე, რომელიც იმავე უბანში ცხოვრობს, რომელშიც ამ მიწების ძირითადი მფლობელები.

ოზურგეთის იმჟამინდელმა გამგებელის მოვალეობის შემსრულებელმა ილია ვაშაყმაძემ დაიბარა რამდენიმე მიწის მფლობელი და უთხრა, რომ საღირაშვილს კანონიერად ჰქონდა შესყიდული ეს ფართობი, ახლა ეს მიწა საღირაშვილმა სახელმწიფოს გადასცაო. მან მიწის მფლობელებს დათესვის ნება მისცა და ურჩია შესაბამის კომისიას ან კვლავ ეკონომიკის სამინისტროსთვის მიემართათ.

ექადიელებმა ამჯერად შეხვედრაზე კოალიცია ,,ქართული ოცნების“ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს ზვიად კვაჭანტირაძეს სთხოვეს, არჩევის შემთხვევაში დახმარებოდა გლეხებს პრობლემის მოგვარებაში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა კოტე შარაშენიძემ ამ პოსტზე თავის პირველ სამუშაო დღეს დაიბარა ექადიელები და შეპირდა, რომ საარჩევნო დაპირებას შესრულებდნენ.

-ამ ეტაპზე ვერავინ გაგიყიდით ამ მიწებს. დათესეთ და მოსავალი მოიწიეთ–მიმართა მან ექადიელებს.

მიწის მფლობელთა ერთი ჯგუფის თხოვნა იყო, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ოფიციალური შუამდგომლობით მიემართა ეკონომიკის სამინისტროსთვის, რომ მოენახათ გზები, რათა კვლავ კითხის ნიშნის ქვეშ არ დამდგარიყო ეს ნაკვეთები. თავშეკავების ერთერთი მიზეზი კი ის არის რომ 2008 წლის ლეგალიზაციის კანონმა ცვლილებები განიცადა. ის,რომ პროკურატურის მიერ ლეგალიზაციის კომისიაში შესვლამ შეაჩერა ექადიელთა მიწების ლეგალიზაციის საკითხი, ამ მოტივაციაზე არავინ ფიქრობს.

ჩვენ ამ მიწებს რამდენიმე მფლობელი ჩავწერეთ:

მერაბ ჩიჩუა:– როგორც ჩანს, იმ ადამიანებმა, რომლებსაც სხვადასხვა ფორმით ურთიერთობა აქვს მიწების საკითხთან და ექადიელებს რამდენჯერმე განუცხადეს ,,დაინახავთ,თქვენ თუ მაგ მიწებს გაგიფორმებენ“- ხელს უშლიან საკითხის სბოლოო გადაწყვეტას. ჩვენ მხარი დავუჭირეთ და გვჯერა ბიძინა ივანიშვილის, იგი სოფლის დახმარებაზე და გაძლიერებაზე ფიქრობს და მიწას როგორ წავგართმევს.

ლევან ვასაძე:– მამაჩემი ამ მიწას ჩაკვდა. 40 წელზე მეტი თესავდა და მოჰყავდა მოსავალი. ჩვენი ოჯახის ერთადერთი მარჩენალი ეს ფართობია. მიხარია, რომ ბიძინა ივანიშვილი ჩვენნაირ უბრალო ხალხზე ზრუნავს. ამის იმედი მაქვს.

ლევან მუჯირი–1000 კვადრატული სახნავი აქვს ჩემს 6-სულიან ოჯახს. ქოხში ვცხოვრობთ. ცოდვა-მადლი ხომ არის, როგორ უნდა წაგვართვან.

ექადიელების 22 ოჯახი ფიქრობს, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ადგილობრივი ხელისუფლება ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად ამ პრობლემის გადაწყვეტის მექანიზმს შეიმუშავებს.

მაკა ჭყონია: „თანამშრომლები პოლიტიკური ნიშნით არ დაგვითხოვია“

მარი კოძოევი

საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია ბავშვთა ბაღებიდან თანამშრომელთა გათავისუფლების ფაქტმა. არსებობს მოსაზრება, რომ მათი გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით მოხდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელს, მაკა ჭყონიას.

მაკა ჭყონია: თანამშრომლებს რომელთა გათავისუფლებაც მოხდა ხელშეკრულება 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ჰქონდათ დადებული. მოხდა ბავშვთა კონტიგენტის ზრდა, რამაც გამოიწვია თანამშრომლების დამატებით აყვანის საჭიროება, სწორედ ამიტომ მოხდა მათი სამსახურში აყვანა. თითოეულმა მათგანმა თავიდანვე იცოდა, რომ იყვნენ არასაშტატო ადგილებზე- დამხმარე თანამშრომლები და მათი სამსახური იყო დროებითი. გავიდა მათი ხელშეკრულების ვადა და დავითხოვეთ, სხვა არაფერი. არანაირი პოლიტიკური ნიშნით გათავიუფლება არ ყოფილა.

2013 წლის ბიუჯეტი წინა წლისაგან განსხვავებულად შედგა. თანხა, რომელიც გათავისუფლებული თანამშრომლების ხელფასებზე მიდიოდა, ინვენტარის განახლებას და სათამაშების შეძენას მოხმარდება, რისი საჭიროებაც ნამდვილად არსებობს.

სპორტის განვითარების ცენტრის განცხადება

გაზეთ „ალიონში“ (20 იანვარი, №3) დაიბეჭდა სტატია სატაურით: „სამსახურებიდან „ქართული ოცნების“ აქტივისტებს ითხოვენ?“ რომელშიც საუბარია იური სიორიძის კლუბ „ფალავანში“ „ოცნების“ ერთ-ერთი ადგილობრივ ლიდერთან, შოთა გოგიბერიძესთან გამარტულ შეხვედრაზე.

სტატიაში ნახსენებია „სპორტის განვითარების ცენტრიც“ და მისი მისამართით, თუმცა ირიბად, მაგრამ მაინც ჩვენი აზრით გამოთქმულია უსამართლო, შეურაცხმყოფელი და ამავე დროს უსაფუძვლო ბრალდებები, რის გამოც იძულებული ვართ განვაცხადოთ:

I. თითქოს საარჩევნოდ ადმინისტრაციის მხრიდან მწვრთნელებზე, სპორტსმენებზე, მშობლებზე და თანამშრომლებზე, პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე ზეწოლა ხდებოდა. ეს არის სრული აბსურდი და უსაფუძვლო ბრალდება. ვერავინ ოზურგეთში ერთ ფაქტსაც ვერ დადებს „სპორტის განვითარების ცენტრის“ ადმინისტრაციიდან მსგავსი ქმედების განხორციელებაზე.

II. თითქოს სპორტის განვითარებისათვის რეალური ნაბიჯები არ იდგმებოდა. ეს ბრალდებაც უსაფუძვლოა. ჩვენ შეგვიძლია ამ თემაზე დაუსრულებლად ვისაუბროთ, მაგრამ ამ ეტაპზე მხოლოდ კალათბურთს. ფრენბურთს, ჭიდაობას, რაგბის, მძლეოსნობას, მკლავჭიდს, მინდვრის ჰოკეის შევახსენებთ საზოგადოებას.

III. თითქოს საშტატო განრიგი არჩევნებთან დაკავშირებით 50-მდე გაიზარდა. საუბარია 29 კაცის დამატებაზე. სტატისტიკა ისეთი რამ არის, რომელსაც ვერსად ვერ წაუხვალ. „სპორტის განვითარების ცენტრს“ გასული წლის იანვრიდან წლის ბოლომდე მხოლოდ 4 ადამიანი დაემატა, ანუ შტატები 32-დან 36-მდე გაიზარდა.

IV. თითქოს ღონისძიებებსა და ტურნირებში ჩართულობა მშობლების ფინასების ხარჯზე ხდებოდა, რაც არასწორია. ეს არის სისხლის სამართლებრივი ნიშნების მატარებელი დანაშაული. უაზრობაა ვამტკიცოთ იმის არ არსებობა, რასაც პირიქით ვებრძვით. სამწუხაროა, რომ ჩვენი თავის მართლების რეჟიმში ჩაყენება სურთ. ეს არის უსაფუძვლო ბრალდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ „სპორტის განვითარების ცენტრის“ მისამართით მიზანმიმართული კომპანია იწყება.

„სპორტის განვითარების ცენტრის“ კოლექტივი გამოთქვამს წუხილს გარკვეული წრეების მცდელობის გამო ჩრდილი მიაყენოს ორგანიზაციის საქმიანობას.

***

გაზეთ „ალიონის“ რედაქციას

ბატონო რედაქტორო!

თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიის „სამსახურებიდან „ქართული ოცნების“ აქტივისტებს ითხოვენ“ პასუხად გვინდა განმარტება მოგცეთ რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით.

კატეგორიულად უარვყოფთ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სპორტის სამსახურის მესვეურები და კერძოდ, სასპორტო სკოლა ეწეოდა ზეწოლას წინასაარჩევნო პერიოდში მწვრთნელებზე, სპორტსმენებზე მათი პარტიული ნიშნით გამოყენების მიზნით. მიგვაჩნია, რომ სასპორტო სკოლის ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში ყოვლად დაუშვებელია.

რაც შეეხება ღონისძიებებისა და ტურნირების დაფინანსებას, ვსარგებლობთ რა სპორტის ფედერაციის დებულებით და აქედან გამომდინარე ადგილობრივი შეჯიბრებების—სასკოლო პირველობის გამარჯვებულები (I ადგილის მფლობელები) სრულად ფინანსდება ბიუჯეტიდან რესპუბლიკურ ტურნირებზე და ჩემპიონატებზე, ხოლო II-III ადგილზე გასულ სპორტსმენებს ეძლევათ შანსი ზემოთ აღნიშნულ ტურნირებზე მონაწილეობის მიღებისა, თუმცა საკუთარი ხარჯებით.

ყველაზე მნიშვნელოვანი ბრალდება, რომელიც წერილის თავსართშია გამოტანილი, უსაფუძვლოა. კერძოდ, სამსახურიდან თანამშრომელთა გათავისუფლება მოხდა არა პოლიტიკური ნიშნით, კანონის სრული დაცვით. მწვრთნელთა და თანამშრომელთა დატვირთვებისა და შედეგების გათვალისწინებით. ნაკლებად წარმატებული სპორტის სახეობების მწვრთნელები და ფუნქციურად ნაკლებად დატვირთული თანამშრომლები ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ არ იქნა აყვანილი ახალი ხელშეკრულებით.

რაც შეეხება საშტატო ერთეულებს, წერილში დაფიქსირებული შტატების რაოდენობა გადამეტებულია და არ შეესაბამება სიმართლეს.

ოზურგეთის სასპორტო სკოლა ჩატარებული ღონისძიებების შესახებ და სპორტულ მიღწევებზე მასმედიის საშუალებით მუდმივად აწვდიდა ინფორმაციებს საზოგადოებას. მკითხელსა და მაყურებელს საშუალება ჰქონდა სრულად გაცნობოდა და შეეფასებინა ჩვენი მუშობა და წარმატებები.

ოზურგეთის სასპორტო სკოლის დირექცია.

გამოიწერეთ გაზეთი „ალიონი“

1 წლით-12 ლარი;
6 თვით-6 ლარი.

ვულოცავთ!

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის პედაგოგებს ვულოვან ინტელექტუალურ პაექრობაში „ჰა, სად, ოდის“ ბრწყინვალე გამარჯვებას.

ვუსურვებ ისეთი თაობის აღზრდას, რომლითაც ყოველთვის იამაყებს საქართველო, ღვთისმშობლის მადლი არ მოკლებოდეს ჩვენს სკოლას, ჩვენს ოჯახებს და სრულიად საქართველოს!

დიდი სიყვარულით, თქვენი ჯერსდამთავრებული

გია მჭავია.

მოძრავი ბიბლიოთეკის პრეზენტაცია გაიმართა

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის საკონფერენციო დარბაზში მოძრავი ბიბლიოთეკის პრეზენტაცია გაიმართა.

ბიბლიოთეკა მე-20 საუკუნის ქართველი და უცხოელი მწერლების 120-მდე წიგნს აერთიანებს. წარმოდგენილია როგორც პროზის, ასევე პოეზიის ნიმუშები.

წიგნები გათვლილია მერვედან მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებისათვის. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყოველ საჯარო სკოლას აქვს საშუალება გარკვეული დროით უმასპინძლონ ბიბლიოთეკას, რაც მოსწავლეებს მისცემთ შესაძლებლობას წაიკითხონ სხვადასხვა ავტორის ახლადგადათარგმნილი ან ახლადგამოცემული წიგნები.

ღონისძიებზე სტუმრად იმყოფებოდა მწერალი ანა კორძაია-სამადაშვილი, რომელმაც დამსწრეთა წინაშე წარადგინა თავისი წიგნი „შუშანიკის შვილები“ და ასევე ისაუბრა წიგნების მნიშვნელობაზე.

მოძრავი ბიბლიოთეკა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ არსებულ ახალგაზრდულ ცენტრის ფარგლებში დამზადდა. იგი 2012 წლიდან ფუნქციონირებს პროგრამის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში.

პაციენტთა საყურადღებოდ!

სამკურნალო ცენტრ „ძლევაში“ მოქმედებს ფუნქციონალურ-დიაგნოსტიკური კაბინეტი: ექოსკოპია, ფიზიოთერაპია, ელექტროკარდიოგრაფი, ყბა-სახის და ორთოპედიული პრობლემების გამოკვლევის აპარატი. ხდება თავის ქალის ყველა პოზიციაზე გადაღება ტრავმის შემდგომი დაზიანებების დასადგენად. (მომსახურება ხდება როგორც სამკურნალო ცენტრში, ისე ბინაზე).

მოგემსახურებათ გამოცდილი სპეციალისტები: მაკა გოგუაძე, მარინა სიხარულიძე.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, 9 აპრილის ქ. №19 (მეუფის რეზიდენციის გვერდით).

თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი—სურათების გალერეის კოლექტივი თანაუგრძნობს ქალბატონ ნანა სტეფანიას მეუღლის და ბატონ დავით მდინარაძეს მამის **მურმან მდინარაძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ექიმ დავით მდინარაძეს მამის და ქალბატონ ნანა სტეფანიას მეუღლის **მურმან მდინარაძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე